ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ვლადიმერ ვადაჭკორიას 2014 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ვლადიმერ ვადაჭკორია, წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული ვარ პროპორციული წესით. ვარ საფინანსო-საბიუჯეტო და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი, 2014 წლის ოქტომბრიდან ფრაქცია ,,ქართული ოცნება_რესპუბლიკელების" თავმჯდომარე.

2014 წლის 2 აგვისტოდან(პირველი სხდომის ჩატარების თარიღი) ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მაქვს მიღებული საკრებულოს 14 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებულ იქნა 100 განკარგულება, დამტკიცდა 49 დადგენილება.

საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით გაიმართა 4 დამოუკიდებელი და 2 გაერთიანებული ფრაქციის სხდომა. ამავე პერიოდში მონაწილეობა მივიღე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 15 და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 12 სხდომაში.

ჩემი მონაწილეობით ფრაქციის სხდომებზე განხილულია სულ 14 საკითხი, ხოლო კომისიათა სხდომებზე კი 51 საკითხი.

2014 წლის აგვისტოდან 31 დეკემბრამდე 4-ჯერ მაქვს ჩატარებული შეხვედრა ამორჩევლებთან. ამ შეხვედრებს ჯამში დაესწრო 49 მოქალაქე. მოქალაქეებთან შეხვედრებისას წამოჭრილი პრობლემები ძირითადად ეხებოდა სოფლის გაზიფიცირების, გზების სარემონტო სამუშაოების, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს, გარე განათების, წყლისა და დასაქმების პრობლემებს.

აღნიშნული პრობლემატიკიდან აღსანიშნავია, რომ სოფელ ბოხვაურის სრული გაზიფიცირების საკითხი დასრულების ფაზაშია, სოფელ ბახვში დადებითად გადაწყდა სოფლის ცენტრის გარე განათებით უზრუნველყოფის საკითხი, ხოლო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები და გზების რეაბილიტაციის საკითხი კვლავ აქტუალურია.

29.01. 2015წ.